საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება N55

31 დეკემბერი 2021 წ.

ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში
პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის
ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" და „ძ" ქვეპუნქტებისა და 140[1]-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესი, თანახმად დანართი N 1-ისა.
2. დამტკიცდეს პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმა, თანახმად დანართი N 2-ისა;
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.
4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა 30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე

პეტიციის წარდგენის და განხილვის წესი

პეტიციის განაცხადი წერილობით ან/და ელექტრონულად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში უმაღლესი საბჭო) თავმჯდომარეს და აღირიცხება შესაბამის რეესტრში. პეტიციის ელექტრონულად წარსადგენად პირი ავსებს და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ადასტურებს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონული პეტიციის ფორმას.

ვებგვერდზე განთავსდება როგორც ელექტრონულად, აგრეთვე წერილობით უმაღლეს საბჭოში წარდგენილი პეტიციის განაცხადები, გარდა წერილობით წარდგენილი იმ პეტიციისა, რომელიც წარდგენისას უკვე მხარდაჭერილია არანაკლებ 200 პირის მიერ.

უმაღლესი საბჭოსათვის პეტიციის წარდგენა შესაძლებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

ელექტრონული სახით წარსადგენი პეტიციის ავტორი უნდა შევიდეს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არსებულ ველზე „ჩაერთე", აღნიშნული ველის გახსნის შემდეგ გამოვა ახალი ფანჯარა „პეტიცია", რომლის გახსნის შემდეგ ახალ ფანჯარაში ჩანს უკვე შეტანილი პეტიციების დასახელება და ველი „შექმენი ახალი პეტიცია" ამ ველზე დაკლიკებით იხსნება ახალი გვერდი შემდეგი შესავსები ველებით:

1. პეტიციის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია:

1.1 სახელი;

1.2 გვარი;

1.3 მობილურის ნომერი;

1.4 ელ. ფოსტა (შევსება არ არის სავალდებულო);

2. პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება;

3. პეტიციის შინაარსი (შესაბამისი ტექსტი, მოთხოვნა, დასაბუთება);

4. დამატებითი დოკუმენტების ატვირთვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კერძოდ პეტიციას შეიძლება თან დაერთოს დოკუმენტები და მასალები, რომლებიც პეტიციის წარმდგენ სუბიექტს პეტიციის დასასაბუთებლად მიაჩნია საჭიროდ.

ამ ველების შევსების შემდეგ უნდა დავაკლიკოთ ამავე ფანჯრის ქვედა მარცხენა კუთხეში არსებულ ველს „ხელმოწერა".

პეტიციის ელექტრონულად შემოსვლის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილება ამოწმებს პეტიციის შინაარსის შესაბამისობას პეტიციის წარდგენის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან.

• განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოჩნდება მისი წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

• აპლიკაციაში განთავსებული ტექსტისა და თანდართული დოკუმენტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ატვირთვის დასტური, პეტიციის განაცხადის წარმდგენ პირს ეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.

• პეტიციის ტექსტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვებ-გვერდზე არ აისახება თუ:

ა) შეიცავს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისკენ, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ომისკენ, სიძულვილისკენ ან დისკრიმინაციისკენ, ან აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ან/და ქმნის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა საფრთხეს;

ბ) არ ეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს;

გ) შეურაცხმყოფელი ან უხამსი შინაარსისაა.

პეტიციის განაცხადის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეგროვდეს არანაკლებ 200 მხარდამჭერი. პირის მხარდაჭერა ფიქსირდება მხოლოდ ერთხელ, პეტიციის განაცხადზე მისი სახელისა და გვარის მითითებით.

როგორ მოვაწეროთ ხელი პეტიციას?

• პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, პირმა აპლიკაციაში, ქართული Sylfaen შრიფტით უნდა ჩაწეროს საკუთარი სახელი, გვარი.

• პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად პირი, ვალდებულია, აპლიკაციის შესაბამის ფანჯარაში „ხელმოწერის დადასტურება" მონიშვნის გაკეთების გზით დაადასტუროს, რომ გაეცნო პეტიციის შინაარსს და ეთანხმება მას.

• ხელმოწერის შესრულებისას პირი, თუ არ არის თანახმა მისი სახელი და გვარი საჯარო გახდეს, აპლიკაცია უზრუნველყოფს მისი პერსონალური მონაცემების გამხელისაგან დაცვას, ამისათვის შესაბამის ფანჯარაში მხოლოდ მონიშვნა უნდა გაკეთოს.

• პეტიციის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ აპლიკაცია ასაჯაროებს პეტიციაზე ხელმომწერთა მიმდინარე რაოდენობას, პეტიციაზე საჭირო ხელმოწერათა მინიმალურ რაოდენობას და პეტიციის ავტორ(ებ)ის სახელ(ებ)სა და გვარ(ებ)ს.

თუ პეტიციის განაცხადი 1 თვის ვადაში ვერ მიიღებს პეტიციის წარდგენისათვის საჭირო, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი რაოდენობის პირის მხარდაჭერას, იგი არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება პეტიციის განაცხადის წარმდგენ პირს, ხოლო რამდენიმე პირის არსებობის შემთხვევაში – იმ პირს, რომელიც პეტიციის განაცხადის ავტორადაა მითითებული.

წერილობით წარდგენილი პეტიცია, რომელიც არ არის მხარდაჭერილი არანაკლებ 200 პირის მიერ, პეტიციის ელექტრონულად განთავსების წინამდებარე წესის შესაბამისად, განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე (წერილობით წარმოდგენილი პეტიციის მხარდამჭერთა რაოდენობა ჩაითვლება და დაემატება ელეტრონული წესით მხარდამჭერთა რაოდენობას), სადაც გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეგროვდეს საერთო ჯამში არანაკლებ 200 მხარდამჭერი.

დარჩენილი მხარდამჭერების რაოდენობის მოპოვების მიზნით უმაღლესი საბჭოს აპარატი ანთავსებს დადგენილი წესის შესაბამისად ელექტრონული წესით პეტიციის განაცხადის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეგროვდეს არანაკლებ 200 მხარდამჭერი.

წერილობით წარდგენილი პეტიცია, რომელიც წარდგენისას მხარდაჭერილია არანაკლებ 200 პირის მიერ, მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე აღირიცხება შესაბამის რეესტრში. აღნიშნულ პეტიციას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

უმაღლესი საბჭოს ბიურო პეტიციას შესასწავლად და განსახილველად გადასცემს შესაბამის კომიტეტს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება შესასწავლად და განსახილველად პეტიციის დროებითი კომისიისთვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული დროებითი კომისია იქმნება და საკითხს შეისწავლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

შესაბამისი კომიტეტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მიზანშეწონილად მიიჩნევს პეტიციის უშუალოდ შესწავლასა და განხილვას;

ბ) პეტიციას შესაბამის სამინისტროს, სხვა უწყებას უგზავნის;

გ) მიზანშეუწონლად მიიჩნევს პეტიციის შესწავლასა და განხილვას.

შესაბამისი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 კვირის ვადაში ეცნობება პეტიციის ავტორს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პეტიციის მიზანშეწონილად მიჩნევის და პეტიციის უშუალოდ შესწავლისა და განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტი განიხილავს პეტიციას მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში და დასკვნას, რომელსაც თან ერთვის პეტიციის სრული ტექსტი, წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. აღნიშნული ვადა კომიტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაძლებელია გააგრძელოს უმაღლესი საბჭოს ბიურომ არაუმეტეს 2 თვით.

საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს ბიუროს შესაბამისი საკითხი განსახილველად შეაქვს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

სამინისტრო, სხვა უწყება 1 თვის ვადაში აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს და შესაბამის კომიტეტს. შესაბამისი კომიტეტის თანხმობით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით. თუ სამინისტრო, სხვა უწყება დადგენილ ვადაში არ აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს, უმაღლესი საბჭო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პეტიციის განხილვის შემდეგ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

პეტიციის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე და ეცნობება პეტიციის ავტორს.

დანართი N 2

პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმა

პეტიციის წარმდგენი პირის საკონტაქტო ინფორმაცია

სახელი	
გვარი	
მობილურის ნომერი	
ელ. ფოსტა (შევსება არ არის სავალდებულო)	

პეტიციის სახით წარსადგენი საკითხის დასახელება

პეტიციის შინაარსი (შესაბამისი ტექსტი, მოთხოვნა, დასაბუთება)

დამატებითი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პეტიციას შეიძლება თან დაერთოს დოკუმენტები და მასალები, რომლებიც პეტიციის წარმდგენი სუბიექტს პეტიციის დასასაბუთებლად მიაჩნია საჭიროდ.

ხელმოწერა